ნინო ბიგვავა •

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივები ქართული პოლიტიკური პარტიების ხედვით (2016-2023)

აბსტრაქტი

სტატიაში წარმოჩენილია ის მიდგომები და ხედვები, რომლებსაც პოლიტიკური პარტიები და მათი წარმომადგენლები მიიჩნევენ საჭიროდ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის. გამოიყოფა ძირითადი სტრატეგიები, რომლებიც საერთაშორისო ექსპერტების აზრით, ყველაზე ეფექტურია მსგავს ვითარებაში. შესაბამისად, სტატიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი მიდგომებისა და შეხედულებების შედარება საერთაშორისო მიდგომებთან და სამომავლო პერსპექტივების წარმოჩენა.

საკვანძო სიტყვები: *საქართველო, აფხაზეთი, ტერიტორიული მთლიანობა, ოკუპაცია, კონფლიქტი, მშვიდობის მშენებლობა.*

შესავალი

სახელმწიფოებრიობის უმთავრეს განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს სუვერენულობა და ტერიტორიული მთლიანობა. ეს უკანასკნელი, უამრავი ქვეყნის ღირებულებით ჩარჩოზე ახდენს უდიდეს გავლენას, აქედან გამომდინარე, საქართველოს მსგავს ქვეყნებში, სადაც გაყინული ტიპის კონფლიქტებია და ვხვდებით ტერიტორიების ოკუპაციას, საკმაოდ რთული ხდება დემოკრატიული განვითარება, თანასწორობისა და თავისუფლების უზრუნველყოფა, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა და სხვა. ამიტომაც ოკუპაცია რჩება ყველაზე რთულ გადაუჭრელ პრობლემად, რომელსაც ლოგიკურად თან სდევს სხვა სირ-

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი.

თულეებიც. მაგალითისთვის, საქართველოს სრულ ტერიტორიაზე კონტროლის არქონას თან სდევს ადამიანების ცხოვრების ხელყოფა, მათი უსაფრთხოების, თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანი განვითარების შეფერხება; ძალადობა (ადამიანთა გატაცება საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ არსებული სოფლებიდან) და სხვა. სახელმწიფოს შიდა დონეზე არსებული ეს პრობლემები აგრეთვე უდიდეს გავლენას ახდენს უშუალოდ საგარეო მიმართულებითაც, მაგალითად ჩრდილო ატლანტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხის ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად სწორედ ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაა მიჩნეული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ რა ჯაჭვური პროცესები შეიძლება მოსდევდეს კონკრეტულ მოვლენებს და რა შედეგებამდე მივდივართ.

ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ რა ხედვა გააჩნია სახელმწიფოს და პოლიტიკურ პარტიებს მოცემული პრობლემის გადასაჭრელად, რას მიიჩნევენ ისინი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზად და როგორი ტიპის დინამიკა ფიქსირდება ამ მიმართულებით პოლიტიკურ სექტორში.

დეოკუპაციის პროცესის სტრატეგიული მართვის შესახებ არსებობს გარკვეული კომპლექსური თეორიები, რომელთა ცოდნაც მეტად მნიშვნელოვანია იმის გასარკვევად თუ რამდენად სენსიტიური და რთულია ამ ყველაფრის წარმართვა პრაქტიკაში. დეოკუპაციის პროცესის მართვის შესახებ თეორიებში გამოიყოფა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი მიმართულება:

1. *დიპლომატია და მოლაპარაკებები* - ტერიტორიული დავების მოგვარებისას დიპლომატიური ძალისხმევა და მოლაპარაკება ხშირად ერთ-ერთი გადამწყვეტი ფუნქციის მატარებელია. კონფლიქტურ მხარეებს შორის დიალოგის საშუალებით შეიძლება დროებითი შეთანხმების მიღწევა, ხელი მოეწეროს ხელშეკრულებებს ან მოხდეს პროცესის სამშვიდობო გზით გადაწყვეტა. ამაზე

საუბრობენ როჯერ ფიშერი და ვილიამ იური თავიანთ წიგნში „თანხმობამდე მისვლა: შეთანხმებაზე მოლაპარაკება იმედგაცრუ-ების გარეშე“ (Fisher R., Ury W., 1991). ავტორები სწორედ მოლა-პარაკებების მნიშვნელობას უსვამენ ხაზს და აღნიშნავენ, რომ მშვიდობა წარმოადგენს ერთ-ერთ მიზანს, რომლის მიღწევაც კვლავ მშვიდობიანი მეთოდებით უნდა მოხდეს.

2. *საერთაშორისო მედიაცია* - ჯეიკობ ბერკოვიჩი და სკოტ ს. გარტნერი თავის სტატიაში „საერთაშორისო კონფლიქტების მედიაცია: ახალი მიდგომები და მიგნებები“ საურობენ ცივი ომის შემდგომ პერიოდში, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კონფ-ლიქტში არ მონაწილე ე.წ. მესამე პირების მიერ მოლაპარაკებებში მონაწილეობასა და ფასილიტაციაზე, რაც არეალს ქმნის ნეიტრა-ლური და მშვიდი დისკუსიისთვის (Bercovitch J. and S. Gartner S., 2008).

3. *საერთაშორისო სასამართლოები* - საერთაშორისო სასა-მართლოების ჩართულობა ტერიტორიული მთლიანობის აღდგე-ნის პროცესში ერთობ მნიშვნელოვანია. როსალინ ჰაგინსის აზ-რით, საერთაშორისო სასამართლოების, მაგალითად ისეთების, როგორიცაა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო (ICJ) შესაძლებელია ტერიტორიული დავების განხილვა და მათი როლი გადაწყვეტილების აღსრულების პროცესშიც არანაკლებ გადამწყვეტია (Higgins R., 2000).

4. *ეკონომიკა და სანქციები* - საოკუპაციო ძალებისთვის საერთაშორისო ნორმებისა და წესრიგის დაცვის იძულების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს ეკონომიკური ზეწოლა და სანქ-ციები. ჰარი კლაიდ ჰაფბაუერი, ჯეფრი ჯეი. სკოტი და კიმბერლი ელიოტი ხაზს უსვამენ იმას, რომ ეკონომიკური სანქციები წარმო-ადგენენ ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ მექანიზმს იმისათვის, რათა საოკუპაციო ძალებმა დაიცვან საერთაშორისო წესრიგი (Hufbauer G. C., J. Schott J., Elliott K. A., 2009).

5. *ადამიანის უფლებათა ადვოკატირება* - ენდრიუ კლაფ-ჰემის აზრით, ადამიანის უფლებები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია სამართლის საწყისებისთვის. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის ხაზგასმამ შეიძლება მოახდინოს საერთაშორისო მხარდაჭერისა და აღნიშნული ფაქტების დაგმობა, ზეწოლა მოახდინოს საოკუპაციო ძალებზე (Clapham A., 2007).

6. სამოქალაქო წინააღმდეგობა და არაძალადობრივი ქმედება - სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია გაზარდოს დაძაბულობა და გააჩინოს არაძალადობრივი მოქმედებების მოთხოვნა, პროტესტი ოკუპაციის წინააღმდეგ ქმნის მეტ ინტერესს ამ მიმართულებით, რაც საერთაშორისო მხარდაჭერის განმაპირობებელიც არის (Chenoweth E. and Stephan M. J., 2012).

7. მშვიდობის შენარჩუნება და უსაფრთხოების ხელშეწყობა - მაიკლ კენედი თავის ნაშრომში „მშვიდობის შენარჩნება უფსკრულში: ბრიტანეთისა და ამერიკის ჩარევა ომის შემდგომ ბოსნიაში“ საუბრობს იმის შესახებ, რომ საერთაშორისო სამშვიდო ძალების განლაგებას შეუძლია სიტუაციის სტაბილიზაცია და მოლაპარაკებებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა (Kennedy M., 2004). მშვიდობის შენარჩუნება და ერთგვარი დანაყოფების განლაგება კონფლიქტურ ზონებში აჩენს მეტ ღიაობასა და თვალსაჩინოებას. „მშვიდობის შენარჩუნება ეს არ არის უბრალოდ ჯარისკაცების საქმე, მაგრამ მხოლოდ ჯარისკაცებს შეუძლიათ მისი შესრულება“ (Lt. Colonel Golam Towhid Al Kibria, 2021).

8. სამოქალაქო დიპლომატია და რბილი ძალა - კულტურული და საინფორმაციო ინიციატივების ტრანსფორმაციის გზით შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ალტერნატიული საზოგადოებრივი აზრი, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს დეოკუპაციის პროცესზე და სრულად შეცვალოს ვექტორები. „რბილი ძალა არ არის მხოლოდ და მხოლოდ გავლენის მოხდენის პრო-

ცესი. ეს აგრეთვე უნარია შეცვალო სხვების ნება-სურვილი“ (Nye Jr. J. S., 2005).

აუცილებელია სტრატეგიების ადაპტირება თითოეული შემთხვევის კონკრეტულ გარემოებებთან, ისტორიული, კულტურული და გეოპოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ამ სტრატეგიების წარმატება ხშირად მოითხოვს მდგრად საერთაშორისო თანამშრომლობას და ჩართულობას.

მოცემული მიდგომები ერთგვარ ბაზისს ქმნიან მშვიდობის მშენებლობისა და დეოკუპაციის პროცესში. სტატიაში ქართული პოლიტიკური სპექტრის მიერ წარმოდგენილი პრობლემების მოგვარების გზები შედარებულია ზემოაღნიშნულ სტრატეგიებთან. მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ როგორ ხედავენ პოლიტიკოსები ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს, რა გზებს ირჩევენ და რამდენად აქტუალურია მათთვის მოცემული პრობლემა. სტატიის ფარგლებში გამოყენებულია სხვადასხვა ვებ-გვერდსა თუ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული გამოსვლები და ინტერვიუები, რომლებშიც საქართველოს ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის წარმომადგენლები საუბრობენ მოცემულ საკითხზე. განხილულია დეოკუპაციის პროცესის შესახებ არსებული ძირითადი პოზიციები და ხედვები, 2016 და 2023 წლების დინამიკაში.

2016 წელი

საზოგადოება ხშირად ეხმარება პოლიტიკურ ძალებს დაადგინონ, რომელ საკითხებზე გააკეთონ აქცენტი დროის ამა თუ იმ მონაკვეთში. 2016 წელს ეროვნულ- დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებული კვლევის შესაბამისად სახელმწიფოსთვის ყველაზე ყურადსაღებ პრობლემებს შორის მე-3 ადგილზე აღმოჩნდა სწორედ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი (“Netgazeti.ge”, 2016). საინტერესოა ისიც, რომ წინა წლებში ეს საკითხი საზოგადოებისთვის პირველ ადგილზე იყო, ყოფითი პრობლემების ფონზე კი მისი გადაწევა მოხდა.

2016 წლის მონაცემებით პოლიტიკოსები ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს უყურებენ შემდეგი პერსპექტივებიდან:

• გეოპოლიტიკური ვითარების შეცვლის ჭრილში;

• საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება;

• ორგანიზაციებისა და მესამე ქვეყნების ჩართვა დიალოგის პროცესში;

• საერთაშორისო დოკუმენტაციაში და რეზოლუციებში კონფლიქტები იყოს მუდმივად ნახსენები;

• არსებული დიალოგის ფორმატების შენარჩუნება;

• საქართველოსა და ოკუპირებული აფხაზეთის ეკონომიკურ - სოციალური ინტეგრაცია.

2016 წელზე საუბრისას გასათვალისწინებელია, რომ ეს იყო საპარლამენტო არჩევნების წელი. მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ამ პერიოდში წინასაარჩევნო კამპანიებში უფრო მეტი აქცენტი კეთდებოდა მატერიალური და ღირებულებითი პრობლემების მოგვარებაზე. თუმცა ოკუპაციისა და ტერიტორიული მთლიანობის შესახებ საუბარი მაინც მიმდინარეობდა. მაგალითად, „წინასაარჩევნო პერიოდში მნიშვნელოვანი ნეგატიური გამოხმაურება მოყვა პრორუსული ორიენტაციის მქონე პოლიტიკური გაერთიანება „ცენტრისტების“ წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკურ რეკლამას, რომელიც 13 აგვისტოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გავიდა. „ცენტრისტების“ პოლიტიკური რეკლამა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინისა და რუსეთის დროშებიანი ტანკების ფოტოების თანხლებით გადიოდა, ამ ფოტოების ფონზე კი პარტია მოსახლეობას ჰპირდებოდა „რუსულ პენსიას“, რუსული სამხედრო ბაზების დაკანონებას საქართველოს ტერიტორიაზე, რუსეთთან სავიზო რეჟიმის გაუქმებასა და რუსეთ-საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის შესახებ კანონის მიღებას (CDD, 2016).

8 აგვისტოს, 19:40 წუთზე “ობიექტივის” საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი „აგვისტოს ომის მიზეზები და შედე-

გები“. სიუჟეტის წარდგინება შემდეგნაირად ხდება: „ვინ დაიწყო აგვისტოს ომი? ქართული მხარე ომის მთავარ ინიციატორად ოკუპანტ რუსეთს ასახლებს, თუმცა პოლიტიკოსთა ნაწილი წინა ხელისუფლების შეცდომებზეც საუბრობს...“ (მედიის განვითარების ფონდი, 2016). აღნიშნულ სიუჟეტში წარმოდგენილი რესპოდენტებიც პოლიტიკური სექტორის წარმომადგენლები იყვნენ: „მამუკა არეშიძე (ექსპერტი), გია ჟორჟოლიანი („ქართული ოცნება“), ნინო ბურჯანაძე (დამოკრატიული მოძრაობა), თამაზ მეჭიაური (თამაზ მეჭიაური-ერთიანი საქართველო), ირმა ინაშვილი (პატრიოტთა ალიანსი)“ (მედიის განვითარების ფონდი, 2016). აღნიშნულ სიუჟეტში ძირითადი აქცენტი იყო 2008 წლის მოვლენებში წინა ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე. ასეთი იყო იმჟამინდელი იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის და პარლამენტის ვიცე-სპირეკის კომენტარებიც, რომლებიც ზოგადად ომის დანაშაულებების, ეთნოწმენდის საკითხების გამოძიებაზე საუბრობდნენ (მედიის განვითარების ფონდი, 2016). აქვე მნიშვნელოვანია ითქვას, რომ არ იყო წარმოდგენილი ყოფილი ხელისუფლების მოსაზრებები, ან იმ პარტიების აზრი ვინც რუსეთს მიიჩნევს ომის დამწყებად. მედიის განვითარების ფონდის მოსაზრებით აღნიშნული სიუჟეტი არ იყო დაბალანსებული (მედიის განვითარების ფონდი, 2016).

„ევროკავშირი საქართველოსთვის“ და „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტის“ მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, შეირჩა „11 სატელევიზიო არხი, რომელთაგან 9-ში ეთერის ყველაზე დიდი ნაწილი საქართველოს მთავრობის საქმიანობის გაშუქებას დაეთმო“ (EU/UNDP Georgia, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქართია, 2016).

2016 წელს არჩევნებზე წარმოდგენილი „ცენტრისტებისგან“ განსხვავებით, ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლებიც საუბრობდნენ იმაზე, რომ კონფლიქტი უნდა მოგვარდეს მშვიდობიანად და სხვა გზა არ არსებობდა. ამის ადასტურებს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი ვოლსკის მოსაზრებაც,

რომლისთვისაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის მოგვარებისათვის აუცილებელია გეოპოლიტიკური ვითარების შეცვლა. მისი მოსაზრებით, „სამხრეთ კავკასიასა და კონკრეტულად, საქართველოში რუსეთის ბაზების არსებობა არის გლობალური მასშტაბის პრობლემების სეგმენტი, სადაც, ერთი მხრივ, დასავლეთის - ევროკავშირის, აშშ-ის, - და მეორე მხრივ, რუსეთის, ინტერესები ერთმანეთს უპირისპირდება“ (პერტაია ლ., 2016). გიორგი ვოლსკისათვის განსაკუთრებული დატვირთვა აქვს იმას, რომ „საქართველოს ჰქონდეს სწორი პოზიცია, ჰყავდეს ძლიერი მოკავშირეები და სტრატეგიის განხორციელებისას, კონფლიქტის მხოლოდ და მხოლოდ მოლაპარაკებებითა და მშვიდობიანი გზით მოგვარებას მიმართავს“ (პერტაია ლ., 2016).

არანაკლებ მნიშვნელოვანია ოპოზიციური სექტორის მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მაგალითად, „“ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ერთ-ერთი ლიდერი, გიგი წერეთელი მიიჩნევს, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად მთავარია, ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი მუდმივად იყოს მსოფლიოს პოლიტიკურ დღის წესრიგში. მნიშვნელოვანია „სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო რეზოლუციებში, დოკუმენტებში მუდმივად იყოს აქცენტირებული ეს საკითხი. ეს იქნება გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო თუ სხვა და სხვა. ინსტიტუტები, რომლებიც ყოველდღიურად ახდენენ მნიშვნელოვანი თემების აქტუალიზებას, ეს უკავშირდება არაღიარების პოლიტიკასაც“ (პერტაია ლ., 2016). იგი წერეთელი “ნეტგაზეთთან” საუბრისას ამბობდა, რომ “ნაციონალური მოძრაობა” რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების წინააღმდეგი არ არის. თუმცა, მისი თქმით, თუკი საქართველოს ექნება რუსეთთან საუბარი, ეს უნდა ეფუძნებოდეს “ძირითად ამოცანას – საქართველოს სუვერენიტეტსა და თავისუფლებას, ხალხის სურვილს, ცხოვრობდეს არა რუსეთში, არამედ მასთან კეთილმეზობლურად” (პერტაია ლ., 2016).

თუ „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლინაობის აღდგენისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო აღიარება და საერთაშორისო აღიარებული პარტნიორების ჩართულობა, ამის საპირსპიროდ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარე მიიჩნევდა, რომ „საქართველოს დეოკუპაცია მიუღწეველი იქნება კომპლექსური მიდგომის გარეშე. რუსეთი დეოკუპაციაზე არ წავა, სანამ ყველა სადავო საკითხი კომპლექსურად არ გადაიჭრება. ჯერ უნდა მივაღწიოთ, რომ ყველა მხარემ დააფიქსიროს საკუთარი ინტერესები. თუ ინტერესები ერთმანეთს არ დაემთხვა, უნდა მოვძებნოთ კომპრომისები, რაღაცაზე უნდა ვთქვათ - “შეუძლებელია”, რაღაცაზე - “შესაძლებელია”. თუ კომპრომისის მოძებნა რუსეთს არ სურს, სამწუხაროდ, ვერ ვხედავ ძალას, რაც პრობლემას მოაგვარებს” (პერტაია ლ., 2016).

ტერიტორიული მთლიანობის საკითხში ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობასა და ხელისუფლებასთან კომუნიკაციის მნიშვნელობაზე საუბრობდა „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი ვიქტორ დოლიძე, რომლის აზრითაც: “ჩვენ უნდა დავიბრუნოთ პირველ რიგში ხალხი და შემდეგ – ტერიტორიები. ჩვენ მხოლოდ ტერიტორიები არ უნდა დავიბრუნოთ. და თუკი გვინდა რაიმე კონკრეტულის გაკეთება, მათთან პირდაპირი დიალოგის გარეშე ეს გამორიცხულია. ამიტომ ჩვენ დაგვჭირდება ოსებთანაც და აფხაზებთანაც ამ ნაბიჯების გადადგმა” (პერტაია ლ., 2016).

თითოეული პოლიტიკური წარმომადგენლისთვის ტერიტორიული მთლიანობის საკითხის მთავარ ამოსავალ პუნქტს წარმოადგენს მეორე მხარესთან ურთიერთობის ნორმალიზება, საერთაშორისო ჩართულობა, აღიარება და დიალოგის ფორმატის არსებობა.

2020 წელი

2020 წლის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კვლევაში, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემამ მე-4 ადგილზე გადაინაცვლა, რაც 2016 წელთან შედარებით პირდაპირ გვიჩვენებს საკითხის აქტუალურობის დაკარგვის ტენდენციას. ოკუპაციის პრობლემატიკაც მოცემულ წლებში პოლიტიკურ სექტორში სულ სხვაგვარი განწყობებით შემოდის. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ჩატარებული მედია მონიტორინგის ანგარიშები ყველაზე უკეთ წარმოაჩენენ რეალურად რა ადგილი აქვს აგრეთვე პოლიტიკოსებისთვისაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. (მედიის მონიტორინგის ფონდი, 2020).

აღნიშნულ პერიოდში აქტიურად ფიგურირებდა დავით გარეჯის პრობლემა, რასაც ზოგიერთუ პოლიტიკოსი ადარებდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციას. მაგალითად, „ქართული მარშის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი სანდრო ბრეგაძე აღნიშნავდა: "თუ დავით გარეჯის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა კრემლის ინტერესები არის და მამათმავლების დაცვა არის დასავლური პოლიტიკა, მაშინ ყველაზე დიდ დისკრედიტაციას დასავლეთს უკეთებს ის ხალხი, ვინც ამას ამბობს და ლაპარაკობს. ჩვენ ოკუპირებული გვყავს აფხაზეთი, ოკუპირებული არის ცხინვალის რეგიონი და ჯერჯერობით ოკუპირებული არის დავითგარეჯი. ჩვენ ყველა ეს რეგიონი უნდა გავათავისუფლოთ ოკუპაციისგან“ (გამომცემლობა „მარშალპრესი, 2020).

2016 წელს ტერიტორიულ მთლიანობაზე საუბრისას დავით თარხან-მოურავი ხაზს უსვამდა საერთაშორისო აქტორების როლსაც, თუმცა 2020 წელს ის ეჭვქვეშ აყენებდა მათ მნიშვნელობას. კერძოდ აღნიშნავდა: „ანუ ოღონდ აქ ნატო შემოვიდეს და ყველაფერი უნდა მივცეთ, სოხუმი, ცხინვალი, ბათუმი, ახალციხე, ოზურგეთი, ყველაფერი. ოღონდ აქ სადმე გაჩნდეს ნატო და რაც მთავარია, ამის მერე ეს ნატო მაინც ვერ შემოდის“ (ტელეკომპანია „ობიექტივი“, 2020).

საერთაშორისო ჩართულობის, უცხო ქვეყნების და მათი ფონდების მხრიდან დაფინანსებებისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას გამოხატავდნენ „ქართული მარშის“ წარმომადგენლებიც. გიორგი გაბედავა, რომელიც 2020 წლის არჩევნებში „ქართული მარშის“ ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატი იყო, პირად „ფეისბუქ“ გვერდზე აქვეყნებდა მიმართვას, რომლის თანახმადაც „რუსული, ამერიკული, თურქული, ირანული თუ არგენტინული დაფინანსება უნდა იყოს აკრძალული კანონით, როცა მსგავსი ორგანიზაციები ქართულ შიდა პოლიტიკურ თემებში უხეშად ერევიან, როცა ტერიტორიულ მთლიანობას უქმნიან საფრთხეს, როცა აღვივებენ შუღლს თანამოქალაქეებში, როცა ხელს უწყობენ ომებს სხვა ქვეყნებში“ (გაბედავა, 2020).

2020 წლის წინასაარჩევნო პერიოდში კონსერვატიული ძალები საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვადასხვა სახელმწიფოებისა და ინვესტორების ყოფნას საქართველოს ტერიტორიაზე მიიჩნევდნენ ოკუპაციად. მაგალითად, პატრიოტთა ალიანსის მარტვილი-ჩხოროწყუ-წალენჯიხა-აბაშის ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატი ვიქტორ ცაავა მიიჩნევდა, რომ „საქართველოს ტერიტორიის ერთ ნაწილში უცხო ქვეყნის ჯარი დგას, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად, ეს ოკუპაციაა. არის ჩვენი ქვეყნის მეორე ტერიტორიაც, იქ არ დგას ჯარი, მაგრამ ისიც ოკუპირებულია. ასე რომ საქართველო ორი, სამი თუ მეტი ქვეყნის მიერაა ოკუპირებული და ეს სიმართლეა, რომელზეც არავინ ლაპარაკობს. საქართველო კოლონიაა („საქართველო და მსოფლიო“, 2020).

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზაზე „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთ წარმომადგენელს დავით თარხან-მორავს მიაჩნია ტერმინების სწორად განსაზღვრა. იგი მიიჩნევს, რომ „არ უნდა გამოვიყენოთ ტერმინები „ოკუპირებული ტერიტორიები“ და „ოკუპანტი“. ზიანის გარდა ამას არაფერი მოაქვს. აფხაზეთი და ცხინვალი საქართველოს ავტონომიები აღარასოდეს იქნება. გამოიყოფა ეს ტერიოტორიები, ან აფხაზეთის ნაწილი გახდება დამოუკი-

დებელი და ნაწილი დაბრუნდება საქართველოში თუ რამე სხვა ფორმა, ჯერ არ ვიცი“ (ტელეკომპანია „მთავარი არხი“ , 2020).

2020 წლის წინასაარჩევნო პერიოდში აქტიურად გამოიკვეთა სურვილიც, რომ რუსეთთან მოხდეს ურთიერთობების დალაგება და ნორმალიზება, რის გარეშეც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივას გარკვეული პოლიტიკური ძალები, ძირითადად კონსერვატიული იდეოლოგიის მატარებლები, არ განიხილავენ. პატრიოტთა ალიანსის მაჟორიტარობის კანდიდატი ვიქტორ ცაავა გამოცემა „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბრისას აღნიშნავდა: „თუ გვინდა, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა მოგვარდეს, რუსეთთან საერთო ენა უნდა გამოვნახოთ, ამას ალტერნატივა არ აქვს. ის, რომ ჩვენს ტერიტორიაზე იკვეთება რამდენიმე დიდი სახელმწიფოს ინტერესები, ფაქტია. რაც შეეხება ამერიკისა და ევროპის ჩართულობას კონფლიქტის მოგვარების საკითხში, მიმაჩნია, რომ საქართველოს აქვს პოტენციალი, აშშ-ისა და ევროკავშირის გარეშე დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან რუსეთთან და დაიცვას თავისი ინტერესები. ჩვენ რუსეთთან ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება გვაქვს“ („საქართველო და მსოფლიო“, 2020).

წინა წლებთან შედარებით აქტიურად ჩანდა კონსერვატიული ძალების ერთგვარი კონსოლიდაცია დეოკუპაციის საკითხში რუსეთის როლის გაზრდასთან დაკავშირებით. თითოეული კონსერვატიული პარტია მიიჩნევდა, რომ დასავლური და სხვა ძალები ნაკლებად შეძლებენ ქართული პოზიციების გათვალისწინებას მათ გაგებას და გადააზრებას ისე, როგორც ეს შეუძლია რუსეთს, ვინაიდან რუსეთთან თანაარსებობის მრავალწიანი გამოცდილება არსებობს და გვაერთიანებს რელიგია.

პლატფორმა „Partiebi.ge”-ს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხზე საინტერესო პოზიციები აქვთ სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებსაც. მმართველი გუნდის წარმომადგენელი გიორგი გახარია საკუთარ

წინასაარჩევნო გამოსვლებში აფიქსირებდა, რომ გაეროს გენერალური ასამბლეის 74-ე სესიაზე, რომელიც გლობალური პანდემიის შემდგომ ფიზიკურად პირველად ჩატარდა, 54 ქვეყნის მიერ ინიცირებული რეზოლუცია, რომელიც მხარს უჭერს საქართველოში აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილებს, უპრეცედენტო, 84 ხმით გავიდა. ეს ნიშნავს ჩვენი დიპლომატიის გამარჯვებას და ადასტურებს, რომ ჩვენ გლობალურად გვაქვს სამართლიანი საერთაშორისო მხარდაჭერა იმ მიმართულებით, რომ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღვადგინოთ.“ (ვებ-გვერდი „ქართული ოცნება“, 2020).

2020 წლის არჩევნების წინა პერიოდში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გაერთიანდა სხვა ოპოზიციურ პარტიებთან. პლატფორმა „Partiebi.ge”-ს მონაცემებით ეს ოპოზიციური ძალა აღნიშნავდა მშვიდობიანი გზებით კონფლიქტის მოწესრიგების აუცილებლობას: „ჩვენ 2009 წელს, ცალმხრივად გამოცხადებული ძალის არგამოყენების პრინციპის ერთგულები ვრჩებით. ამავე დროს, განვაახლებთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების ჩართულობის პროგრამებს“. მნიშვნელოვანია ისიც, რომ აღნიშნულ პერიოდში აქტიურად ხდება იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი და სამუშაო პირობების შექმნაზე საუბარი. ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში. 2020 წლისათვის პარტიაში უმთავრეს მიმართულებად მიაჩნდათ „დევნილთა ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფა“ (პლატფორმა „Partiebi.ge”, 2020). მათი ძირითადი სტრატეგია შემდეგი იყო:

1. „დევნილთა და ომის ვეტერანთა დახმარება გახდება 100 ლარი;
2. ყველა დევნილი უზრუნველყოფილი იქნება საცხოვრებლით. 1 წლის განმავლობაში ლაზიკას მშენებლობისას გათვალისწინებული იქნება დევნილთა დასაქმება და საცხოვრებლების მშენებლობა;

3. დევნილებს აღუდგებათ უფლება აირჩიონ და თავად იყვნენ არჩეული ადგილობრივ წარმომადგენლობით სტრუქტურებში;

4. ლეგიტიმური სტრუქტურების საქმიანობა და ბიუჯეტი იქნება გამჭვირვალე და მოხმარდება დევნილი საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ, ჯანდაცვით და საგანმანათლებლო პროგრამებს;

5. დასრულდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე დევნილთა უძრავი ქონების აღწერა და ეს ქონება საჯარო რეესტრში დარეგისტრირდება მემკვიდრეობის უფლებით (გასხვისების უფლების გარეშე);

6. ავამუშავებთ ყველა სამართლებრივ მექანიზმს რუსეთის მიერ განხორციელებული ქართული მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ორგანიზატორთა და შემსრულებელთა წინააღმდეგ;

7. გამოვიყენებთ ყველა არსებულ საერთაშორისო საშუალებას ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა უფლებების, მათ შორის, განათლების, კულტურული და რელიგიური უფლებების დასაცავად“ (პლატფორმა „Partiebi.ge”, 2020).

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კუთხით საკმაოდ საინტერესო და განსხვავებული ინიციატივები ჰქონდა პარტიას ლელო საქართველოსთვის, რომლის წარმომადგენლებიც საუბრობდნენ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დიალოგის განსხვავებული ფორმატების შექმნაზე და ამასთანავე არაღიარების პოლიტიკის უფრო მეტად გაღრმავებაზე. რუსული პროპაგანდის საპირისპიროდ, უნდა შექმნილიყო რუსულენოვანი ტელევიზია, რომელიც დაუპირისპირდებოდა რუსულ ნარატივებს. კერძოდ:

- „რუსულენოვანი ტელევიზია, რომელიც, გარდა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთისა, ჩრდილოეთ კავკასიას და შესაძლოა, მთლიანად პოსტსაბჭოთა რუსულენოვან სივრცეს დაფარავს;

- განსაკუთრებულ პირობებში შრომის გათვალისწინებით - გალისა და ახალგორის რაიონების პედაგოგებსა და სამედიცინო პერსონალს, დანარჩენ საქართველოში მომუშავე კოლეგებთან შედარებით, 20 პროცენტით მაღალი ხელფასი დაენიშნებათ;
- გალისა და ახალგორის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა, ისევე როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სხვა ჯგუფები, უფასო სამედიცინო მომსახურებით ისარგებლებენ;
- გაძლიერდება ზრუნვა მეორე სახელმწიფო ენაზე - აფხაზურზე;
- საოკუპაციო ხაზის გასწვრივ დამონტაჟდება ვიდეოთვალთვალის სისტემა“ (პლატფორმა „Partiebi.ge”, 2020).

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხზე მსგავსად სხვა პარტიებისა „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საჭიროა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ქართული სახელმწიფოს მოქცევა, ამისათვის კი საერთაშორისო თანამეგობრობის უფრო მეტი აქტიურობა და ჩართულობაა საჭირო. მათი აზრით, „მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენა საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად“ (პლატფორმა „Partiebi.ge”, 2020). იძულებით გადაადგილებული პირებისთვის უნდა მოხდეს „მათ კუთვნილებაში არსებულ სახლებში ღირსეულ და უსაფრთხო დაბრუნებამდე, სოციალური დაცვის ადეკვატური სქემის უზრუნველყოფა“ (პლატფორმა „Partiebi.ge”, 2020). ამისათვის კი პარტიაში ჩამოყალიბებულია ერთიანი ხედვა, რომელიც მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს: დევნილის პოლიტიკური და სოციალური სტატუსის გამიჯვნა (დევნილების და მათი შთამომავლების უფლება დაუბრუნდნენ საკუთარ სახლ-კარს); დევნილთა დახმარებისა და მათი ღირსეული საცხოვრებლით დაკმაყოფილების პროგრამების გაგრძელება; დევნილების დასაქმების ხელშეწყობა (პლატფორმა „Partiebi.ge”, 2020).

ახალი პოლიტიკური ცენტრი გირჩისთვის, ტერიტოროული მთლიანობის აღდგენის მთავარი ამოსავალი წერტილია საქართველოს გარდაქცევა იმგვარად, რომ ის „გახდეს უკეთესი და მიმზიდველი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელთათვის“. მათი აზრით თუ არ მოხდება საქართველოს განვითარება იქამდე საკმაოდ რთულია რაიმე ქმედით ნაბიჯებზე საუბარი. იგივე პოზიციას იზიარებენ პარტიაში „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“, მათთვის მნიშვნელოვანია მოხდეს ქვეყნის როგორც ყოფითი, ასევე ინსტიტუციური განვითარება (პლატფორმა „Partiebi.ge”, 2020).

პარტიაში „სტრატეგია აღმაშენებელი“ აცხადებენ, რომ „დღემდე არაა შექმნილი ანტისაოკუპაციო სტრატეგია“ (პლატფორმა „Partiebi.ge”, 2020). ისინი აუცილებლად მიიჩნევენ გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

- „შემუშადეს ანტისაოკუპაციო და ანტიანექსიური სტრატეგია;
- გააქტიურდეს საერთაშორისო ძალისხმევა, იქნება ეს ოფიციალური თუ არაოფიციალური ფორმატების გამოყენებით;
- საოკუპაციო გამყოფ ხაზთან უზრუნველყოფილი იყოს მოსახლების უსაფრთხოება და მათი გადაადგილების თავისუფლება;
- საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მოსახლეობის დასაცავად შემუშავებული საგანგებო პოლიტიკა;
- ანტისაოკუპაციო სტრატეგიის შესაბამისად შემუშავდება სტრატეგიული კომუნიკაციები ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოებებისთვის;
- შემუშავდება დეოკუპაციის გრძელვადიანი პოლიტიკა და სტრატეგია;
- გაგრძელდება არაღიარების პოლიტიკა;
- ხელი შეეწყობა ნდობის აღდგენასა და სახალხო დიპლომატიას“ (პლატფორმა „Partiebi.ge”, 2020).

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ 2020 წელს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხედვა გაცილებით ფართო და ღრმა სურათს ქმნის განსხვავებით 2016 წლისგან. პარტიებს გააჩნდათ უფრო სტრუქტურირებული ხედვა დეოკუპაციასთან დაკავშირებით. აქვე ჩნდება მეტად განსხვავებული პოზიციებიც, 2016 წელთან შედარებით პოლიტიკურ პარტიებს მკვეთრად გამიჯნული ხედვა აქვთ საერთაშორისო პარტნიორებთან დაკავშირებით. 2020 წლის მონაცემებით კონსერვატიული ძალებისთვის პროცესში მთავარ მონაწილედ სახელდება რუსეთი. აგრეთვე დიალოგის ფორმატში გამოყოფენ პირდაპირ კომუნიკაციასაც, უშუალოდ ეკონომიკური და სოციალური მიმზიდველობის გაზრდის შემოტანა დღისწესრიგში, რაც არსებული მშვიდობის მშენებლობის სტრატეგიებში ნაკლებად ფიქსირდება და შედარებით განსხვაებულ მიდგომას წარმოადგენს.

საგულისხმოა 2016 წელთან შედარებით ახალი მიდგომების გაჩენა პოლიტიკური ძალებისთვის, როგორიცაა დავით გარეჯის საკითხის გაიგივება მცოცავ ოკუპაციასთან და ანექსიასთან. რასაც კონსერვატიული ძალებისგან განსხვავებით, სხვა პოლიტიკური პარტიები არ იზიარებენ. დღის წესრიგში ასევე შემოდის, იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ პოლიტიკის შემუშავება და მათი უფლებების უზრუნველყოფა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი და საგულისხმოა. ვინაიდან 2016 წლის მონაცემებში, ამას ნაკლებად ვხვდებით.

2022- 2023 წლები

2022-2023 წლები განსაკუთრებით საგულისხმო პერიოდია, გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთ-უკრაინის ომმა და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოში არსებულ შიდა ვითარებაზე. 2022 წლიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი უფრო აქტუალური გახდა საზოგადოებასა და პოლიტიკურ სექტორში.

2022 წელს „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ მიერ ჩატარდა კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პოლიტიკური სპექტრის სხვადასხვა წარმომადგენლებმა (გია ვოლსკი, გიგა ბოკერია, თეა აქუბარგია, გრიგოლ გეგელია, დავით ბერძენიშვილი, ხატია დეკანოიძე, გიორგი ხოჯევანიშვილი) და წარმოჩინდა, თუ როგორ აღიქვამენ პოლიტიკოსები სამშვიდობო პოლიტიკას და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ „ყველა მათგანი (როგორც ხელისუფლების, აგრეთვე ოპოზიციის წარმომადგენლები) პრობლემის მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოგვარებას უჭერს მხარს და აღიარებს, რომ ძალისმიერი მეთოდების გამოყენება დაუშვებელია“ (ფირანაშვილი თ., 2022). მაგალითად, პარტია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წარმომადგენელი გია ვოლსკი თვლის, რომ საჭიროა დე-ფაქტო რეჟიმებთან ორმხრივი დიალოგის ფორმატის ჩამოყალიბება. მისივე აზრით აღნიშნული პროცესის შედეგად დე-ფაქტო ხელისუფლებების საერთაშორისო აღიარება არ მოხდება, „ვინაიდან აღიარებასთან დაკავშირებით საერთაშორისო სამართლებრივი და პოლიტიკური პოზიციები არის ერთმნიშვნელოვანი“ (ფირანაშვილი თ., 2022). თავის მხრივ, კი თეონა აქუბარდია საუბრობს იმის აუცილებლობაზე, რომ უნდა არსებობდეს სახელმწიფოს მხრიდან ერთიანი კონსოლიდირებული ხედვა სამ მთავარ საკითხზე: „1) როგორ უნდა მივაღწიოთ დეოკუპაციას და კონფლიქტის რეგიონებთან თანამშრომლობას: 2) როგორ შევაჩეროთ რუსეთის ანექსიური პროცესები და 3) როგორ უნდა დავუჭიროთ მხარი გამყოფ ხაზებთან მცხოვრებ მოსახლეობას და შევაჩეროთ ბორდერიზაციის პროცესი“ (ფირანაშვილი თ., 2022).

„სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ მონაცემებით პოლიტიკოსები თანხმდებიან იმაზეც, რომ „სამშვიდობო პოლიტიკის თვალსაზრისით კრიზისული მდგომარეობაა და რეალობა ჩიხშია შესული, რაც საჭიროებს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ შეთანხმებებზე მუშაობის დაწყებას ქართული საზოგადოების შიგნით.

ყველა პოლიტიკოსი იზიარებს რუსეთის გადამწყვეტ როლს კონფ-ლიქტის რეგიონებთან მიმართებაში საქართველოს პოლიტიკის ჩა-მოყალიბების პროცესში, თუმცა ზოგიერთი მათგანი მიიჩნევს, რომ რუსეთის ფაქტორის მიღმა ქართულმა მხარემ უნდა დაიწყოს არსე-ბითი დიალოგი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პოლიტიკურ ლიდერებთან და იმუშაოს კონფლიქტების პოლიტიკური დარეგუ-ლირების საკითხებზე, აგრეთვე, არსებული ჰუმანიტარული და უფლებრივი კრიზისების შემსუბუქებაზე“ (ფირანაშვილი თ., 2022). მოცემული კვლევის რესპოდენტებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ორმხრივ ფორმატებს, როგორც დე-ფაქტო ხელისუფლებასთან, ამასთანავე სახალხო დიპლომატიის ფარგლებში სამოქალაქო სა-ზოგადოებებს შორისაც.

უნდა თქვას, რომ საერთაშორისო თეორიებიდან გამომდინა-რე სწორედ სოციუმის სრული იზოლაციიდან გამოყვანის შედეგად ხდება ნდობის აღდგენის პროცესის წინ დაძვრა, ეს თავის მხრივ რუსეთის გავლენებს ერთმნიშვნელოვნად შეამცირებს და დაასუს-ტებს მის პოზიციებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე (ფირანაშვილი თ., 2022).

აღნიშნული კვლევის შესაბამისად იკვეთება ის, რომ 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომ, პოლიტიკურ სექტორში ერთიანი პოზიციები არსებობდა ძირითად საკითხებზე:

- კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება;
- დე-ფაქტო ხელისუფლებებთან კომუნიკაციის გამყარება;
- სამშვიდობო დიალოგის ფორმატის გაძლიერება;

ეს საკითხები ერთგვარად თანხვედრაშია მოცემულ საერთა-შორისო თეორიებთან და ასახავს კონფლიქტის მოგვარების ძირი-თადი რვა ხედვიდან რამდენიმეს. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ მიდგომები არ არის სრულყოფილი და, როგორც თავადვე პოლიტი-კოსებმა აღნიშნეს, არ არის ერთიანი კონსოლიდირებული პოლიტი-კა შემუშავებული.

2023 წელს მიუხედავად რუსეთ-უკრაინის, მთიანი ყარაბაღისა და ისრაელ-პალესტინას კონფლიქტებისა, საქართველოში მთავარი განხილვის საგანი იყო ევროინტეგრაცია. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ 2023 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ეროვნულ პრიორიტეტებში მოსახლეობის 23% მიიჩნევს ტერიტორიულ მთლიანობას, რაც არსებულ პრობლემებს შორის მე-4 ადგილზეა („civil.ge“, 2023). ერთგვარად ჩანს, რომ 2016 წლის შემდგომ, აღნიშნული საკითხი უფრო გადაწეულია პრიორიტეტებიდან, თუმცა მაინც რჩება დღის წესრიგში. 2023 წელს ძირითადი განხილვის საკითხი იყო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღება, ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ მოცემულმა დილემამ, ერთგვარად გადაფარა ტერიტორიული მთლიანობის საკითხი.

2023 წელი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო იმ გაგებით, რომ აფხაზეთის კონფლიქტიდან და სოხუმის დაცემიდან 30 წელი გავიდა. 2023 წელს საუბარი ძირითადად მიმდინარეობდა ტერიტორიულ მთლიანობაზე კონფლიქტებთან დაკავშირებულ დღეებში (14 აგვისტო, 27 სექტემბერი და სხვა).

დასკვნა

2003 წლის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად, შექმნილია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია „საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესის საერთო კოორდინაციის ამაღლების უზურნველყოფად; ბ) საქართველოს პრეზიდენტისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება, რომლებიც უზრუნველყოფენ კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას“ და სხვა. (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N264, 2003). მიუხედავად აღნიშნული კომიტეტის არსებობისა, 2016-2022 წლების პერიოდში არც ერთი პოლიტიკური პარტია არ ასახელებს რეალურად თუ რა ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით, ან როგორ მოქმედებდა კომიტეტი.

2023 წლისათვის საქართველოს წინაშე იდგა რთული და მნიშვნელოვანი საკითხები, რომელეთა მოგვარებაც აუცილებელი იყო საქართველოს საგარეო კურსის უფრო მკაფიოდ დასაფიქსირებლად და გადასაწყვეტად. ამის მიუხედავად ჩანს ძირითადი კონტურები, რომელთა მიხედვითაც პოლიტიკოსები სრულად იზიარებენ საერთაშორისო თეორიების მიხედვით არსებულ ძირითად მიმართულებებს: დიპლომატია და მოლაპარაკებები; საერთაშორისო მედიაცია; საერთაშორისო სასამართლოები; ადამიანის უფლებათა ადვოკატირება; მშვიდობის შენარჩუნება და უსაფრთხოების ხელშეწყობა; სამოქალაქო დიპლომატია და რბილი ძალა. პარტიათა დეოკუპაციის სტრატეგიის ანალიზი იმ დასკვნის შესაძლებალობას იძლევა, რომ საქართველოს პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკოსები და საზოგადოებაც ერთხმად თანხმდებიან, რომ კონფლიქტები საქართველოში მოგვარდება მშვიდობიანი გზით.

გამოყენებული წყაროები:

Fisher R., Ury W., 1991, *"Getting to Yes: Negotiating Agreement Without Giving In".*

Bercovitch J. and S. Gartner S., 2008, *"International conflict mediation : new approaches and findings".*

Higgins R., 2000, "*To save succeeding generations from the scourge of war': The Role of the International Court of Justice".*

Hufbauer G. C., J. Schott J., Elliott K. A., 2009. "Economic Sanctions Reconsidered"/

Clapham A., 2007, Human Rights: A Very Short Introduction"

Chenoweth E. and Stephan M. J., 2012, Why Civil Resistance Works: The Strategic Logic of Nonviolent Conflict

Kennedy M., 2004, "Peacekeeping in the Abyss: British and American Intervention in Post-war Bosnia"

Lt. Colonel Golam Towhid Al Kibria, 2021, Peacekeeping: A job suited only for soldiers?, Article for The Business Standard. წყარო: https://alerts.tbsnews.net/

Nye Jr. J. S., 2005, *"Soft Power: The Means to Success in World Politics"*

გამომცემლობა "Netgazeti.ge", 2016, *NDI: ქართული ოცნება – 17%, ენმ – 13%*

ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/131784/

ჯორჯია სივილ, 2007, *ოპოზიციური მანიფესტი 12 საკითხის ირგვლივ ერთიანობას აფიქსირებს* - წყარო: https://old.civil.ge/geo/article.php?id=16370?id=16370

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD), 2016, *საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნების მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში* - წყარო: https://cdd.ge/uploads/files/2020-09/1599832204_angarishi-sadamkvirveblo-misia-2016-1.pdf

EU/UNDP Georgia, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქართია, 2016, *2016 წლის საპარლამენტო არჩევნების*

მედიამონიტორინგის შედეგები. წყარო: https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/UNDP_GE_DG_Media_Monitoring_parliamentary_elections_2016_final_report_geo.pdf

მედიის განვითარების ფონდი, 2016, *2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიამონიტორინგის ანგარიში,* წყარო: https://mdfgeorgia.ge/uploads/library/59/file/2._Media_Monitoring_Report_of_the_2016_Parliamentary_Elections_in_Georgia__GEO.pdf

პერტაია ლ., 2016, *როგორ აპირებენ პარტიები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, გამომცემლობა „netgazeti.ge",* წყარო: https://netgazeti.ge/news/133110/

გამომცემლობა „მარშალპრესი", 2020, *დავით-გარეჯის საკითხი* - წყარო: https://mpn.ge/archives/34462

მედიის მონიტორინგის ფონდი, 2020, *წინასაარჩევნო მონიტორინგი 2020, ანტიდასავლური გზავნილები, სიძულვილის ენა, ყალბი ინფორმაცია.* წყარო: https://mdfgeorgia.ge/uploads//MDF%20winasaarchevno%20monitoringi%202020.pdf

გამომცემლობა „საქართველო და მსოფლიო", *9 სექტემბერი, ვიქტორ ცაავა: საქართველო ორი, სამი თუ მეტი ქვეყნის მიერაა ოკუპირებული და ეს სიმართლეა, სიმართლე, რომელზეც არავინ არ საუბრობს. საქართველო კოლონიაა* წყარო: https://bit.ly/33ikIlc

მთავარი არხი, 2020, *11 ოქტომბერი. პოსტ ფაქტუმი,* წყარო: https://www.myvideo.ge/v/3975011

გამომცემლობა „საქართველო და მსოფლიო", 2020, *ვიქტორ ცაავა: არის საფრთხე, რომ არჩევნებში მონაწილეთა მაჩვენებელი ძალიან დაბალი იქნება. ეს არჩევნების ლეგიტიმურობას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს და ქვეყანაში არეულობის მიზეზიც შეიძლება გახდეს* წყარო: https://bit.ly/36eD0W8

პლატფორმა „Partiebi.ge", 2020, *რა პოლიტიკას გაატარებთ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად? ერთიანი*

ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია. წყარო: https://partiebi.ge/2020/geo/compeare?party1=10&party2=&party3=&theme=92

სოც-ქსელი „ფეისბუკი“ , გაბედავა გ., 2020, *პირადი პოსტი,* წყარო: https://www.facebook.com/gabedava.gio/posts/1587501674760707?__tn__=-R https://archive.ph/SX80G

ტელეკომპანია „ობიექტივი“, 2020, *ღამის სტუდია.* წყარო: https://www.myvideo.ge/?video_id=3957432

პლატფორმა „Partiebi.ge”, 2020, *რა პოლიტიკას გაატარებთ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად? ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის.* წყარო: https://partiebi.ge/2020/geo/compeare?party1=11&party2=&party3=&theme=92

პლატფორმა „Partiebi.ge”, 2020, *რა პოლიტიკას გაატარებთ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის უკეთ ორგანიზებისთვის? ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია/* წყარო: https://partiebi.ge/2020/geo/compeare?party1=10&party2=&party3=&theme=78

პლატფორმა „Partiebi.ge”, 2020, *რა პოლიტიკას გაატარებთ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად? ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის* წყარო: https://partiebi.ge/2020/geo/compeare?party1=11&party2=&party3=&theme=92

პლატფორმა „Partiebi.ge”, 2020, *რა პოლიტიკას გაატარებთ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის უკეთ ორგანიზებისთვის? ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის* წყარო: https://partiebi.ge/2020/geo/compeare?party1=11&party2=&party3=&theme=78

ვებ-გვერდი „ქართული ოცნება“, 2020, გიორგი გახარიას სიტყვით გამოსვლა ხაშურში.

წყარო: http://bit.ly/3tz6j5C

პლატფორმა „Partiebi.ge”, 2020, *რა პოლიტიკას გაატარებთ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის უკეთ ორგანიზებისთვის? ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები.* https://partiebi.ge/2020/geo/compeare?party1=8&party2=&party3=&theme=92

პლატფორმა „Partiebi.ge”, 2020, *რა პოლიტიკას გაატარებთ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის უკეთ ორგანიზებისთვის?* წყარო: https://partiebi.ge/2020/geo/compeare?party1=4&party2=&party3=&theme=92

პლატფორმა „Partiebi.ge”, 2020, რა პოლიტიკას გაატარებთ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად? სტრატეგია აღმაშენებელი. წყარო: https://partiebi.ge/2020/geo/compeare?party1=5&party2=&party3=&theme=92

პლატფორმა „civil.ge“, 2023, *საზოგადოებრივი განწყობები NDI-ის მარტის კვლევაში.* წყარო: https://civil.ge/ka/archives/540319

პლატფორმა “civil.ge”, 2023, *სოხუმის დაცემიდან 30 წელი გავიდა.* წყარო: https://civil.ge/ka/archives/561244

პლატფორმა „civil.ge“, 2007, *ოპოზიციური მანიფესტი 12 საკითხის ირგვლივ ერთიანობას აფიქსირებს.* წყარო: https://old.civil.ge/geo/article.php?id=16370?id=16370

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N264, 2003,

Nino Bigvava

Perspectives of restoring the territorial integrity of Georgia from the point of view of Georgian political parties (from 2016 to 2023)

Abstract

For many centuries, statehood was conditioned by territories, and today the main determinant of sovereignty is the integrity of existing territories and complete control over them. From time immemorial, the main source of conflicts has been the control over lands and societies. After the collapse of the Soviet Union, the situation was drastically different. Conflicts were mainly provoked by national disagreements. In the 1990s, a similar situation was created in the South Caucasus, including Georgia, as a result of which we are currently facing the unsolved problem of occupation. In order to fight against this, each government used different ways and strategies. This article will present the approaches and visions that political parties and their representatives consider necessary for the restoration of territorial integrity. The main strategies, which according to international experts are the most effective in such situations, are highlighted. Accordingly, the main purpose of the article is to compare local approaches and views with internationally admitted theories perspectives.

***Key words**: Georgia, Abkhazia, territorial integrity, occupation, conflict, peace building.*